ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘ

№ 37

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე.

ᲧᲝᲕᲔᲚ—ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1911 ᲬᲔᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲛᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲗᲘᲗ

ᲤᲐᲡᲘ:

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ: 3 ᲛᲐᲜᲗᲘ. | 2 ᲛᲐᲜᲗᲘ. | 2 ᲛᲐᲜᲗᲘ. | 10 ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: „ᲛᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: 1) სიტყვა თქმული 6 ნოემბერს ფოთის საკრებულო ტაძარში განსვენებული ნ. ზ. ცხვედაძის სულის მოსახსენებელ პანაშვიდზე—ეპისკ. ლეონიდისა; 2) სიტყვა წარმოთქმული ნ. ზ. ცხვედაძის დკრძალვის დღეს 3 გიორგობის თვეს—დეკანოზ ნ. თალაქვაძესი; 3) სიტყვა თქმული გიორგობისთვის 2 სათავად-აზნაურო გიმნაზიის საეკლესიოდ დანიშნულს დარბაზში ნ. ზ. ცხვედაძის სულის მოსახსენებლად გარდახდილის პანაშვიდის წინ—დეკ. კ. ცინცაძისა; 4) ცოტა რამ საშვდელოების შეერთება და მათ შორის ურთიერთობა და კავშირის გაძლიერებაზედ—იათეოზისა; 5) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია—ხომლელისა; 6) ბერის დღიურიდან სული და ნივთი—ალექსი ბერისა; 7) კიდევ ღია წერილი ოზურგეთის მახრის მისიონებს თავად მელქისედეკ ნაკაშიძეს—ქაჯეთელ.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

თქმული 6 ნოემბერს ფოთის საკრებულო ტაძარში განსვენებული ნ. ზ. ცხვედაძის სულის მოსახსენებელ პანაშვიდზე.

ხუთშაბათს, ამ თვის სამს, ქალაქ თბილისში ჩვენმა თანამემამულეებმა დიდი ვლოვითა და მწუხარებით მიაბარეს მიწას ერთი საუკეთესო მოღვაწე ქართველის გვამი. კაცი, რომელსაც თავს დასტიროდა შეგნებულ ქართველთა გუნდი, იყო ნ. ზ. ცხვედაძე.

განსვენებული არც დიდი მემამულე და კაპიტალისტი იყო, არც მაღალ უფლებათა მოსილი ვარსკვლავებითა და მენდლებით მკერდ

მოჭედილი მოხელე და არც ბრწყინვალე, გავლენიანი, გვარისშვილი. მის სიმდიდრეს შეადგენდა მაღალი განათლება და ფართე ცოდნა, მისი გულის სამკაული და მშვენება იყო თანამოძმეთა უსაზღვრო სიყვარული და მათ საკეთილოდ უანგარო, დაუღალავი, თავდადებული და დაუცხრომელი მუშაობა, მისი სიცოცხლის უმთავრესი საგანი იყო ქართველ ერში განათლების მოფენა, ქართველი ერის გონებრივი გაძლიერება, ქართველების დაყენება საღსა და შეუჩერებელ წინსვლა-წარმატების ფართე გზაზე. განსვენებულმა ნ. ზ. ამას ანაცვალა და ამას შესწირა მსხვერპლად საკუთარი პიროვნობა, ოჯახობა და ნათესაობა. მუდამ სხვებისთვის მზრუნველს და სამშობლოს ბედნიერების მოტრფიალეს, ცხვედაძეს არასოდეს არ ეცალა საკუთრად თავისთვის.

სამშობლოსა და მოყვასისადმი განუსაზღვრელი სიყვარულით იყო მოცული გარდაცვალებული ნ. ზ. მთელი არსება და ვისაც კი იგი დაუახლოვდებოდა, ვისთანაც საქმეს წყობილობდა, ვისაც პროფეკტორიით მიანათებდა საზოგადო სიკეთის სურვილით გაბრწყინებულ ავალებს, ყველას ამოძრავებდა, ყველა გრძნობაში მოჰყავდა, ყველას აღვიძებდა და ზნეობით ამაღლებდა. ნ. ზ. მადლიანი გულიდან გამოსული თხოვნა ისეთი უძლეველი და მომხიბლავი რამ ძალა იყო, რომ თავის თავად იხსენებოდნენ მის წინ შეძლებული ქართველების ოქროს სკივრები და ამა ქვეყანის მძლავრთა კაბინეტის კარებები თანაგრძნობა-დახმარების სურვილის გამოსაცხადებლად. ესაა მიზეზი, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის გაჭირვებული მოსწავლე ახალგაზდობა მუდამ დღე ჭიანჭველასავით გარს ეხვეოდა განსვენებულს და იგიც თავგამოდებით მოციქულობდა გაჭირვებულთათვის მდიდრების წინ. ვინ მოსთვლის, რამდენ ახალგაზდას მოუპოვა ნ. ზ. თავისი მარილიანი სიტყვით სწავლის მიღებისათვის საჭირო საშვალება და რამდენია ღღეს ჩვენში მისი დახმარების წყალობით პატიოსანი მუშაკი და მოქალაქე!

ღარიბი სოფლის მღვდლის შვილი და უბრალო მასწავლებლობაში დაბერებული ნ. ზ., ერთობ ძვირფასი, სასურველი, სასახელო და გამოსაჩენ პირად იყო მიჩნეული ყველა შეგნებული ქართველისაგან. ვისაც კი ცოტა რამ ეცხო ქართველობისა, ყველა სასიქადულოდ სთვლიდა ცხვედაძეს გაცნობას, მასთან დაახლოებას და მეგობრობას; ყველა დაჯერებული იყო, რომ ნ. ზებედესძესთან სიახლოვე ზნეობრივად აამაღლებდა, გაასპეტაკებდა, სინათლის გზაზე დააყენებდა და შეაყვარებდა თავის მოყვასს იმ სალმრთო სიყვარულით, რომელიც ოქროსა და ყველა დიდებაზე უსასურველესია, რომლის შესახებაც სალმრთო წერილი გვიბძანებს: „რომელსა უყვარდეს ძმა თვისი, იგი ნათელსა შინა არს და საცთური არა არს მისთანა“ (1 იოან. 2, 10).

ნიჭითა და ზეკარდამო მადლით დაჯილდოებული პირი ბუნებრივი გრძნობით ცნობილობს თავისსავე მსგავს მაღალ სულს და ისე სრულად და მტკიცედ უერთდება მას ცხოვრებაში, როგორც ერთი კალაპოტით შეერთებული სხვა და სხვა სათაურიდან მოჩქეფარი ანკარა წყაროების ლურჯად მოკამკამე ნაკადულები.

განათლებულმა, სამშობლოს მოყვარულმა, ქველისმოქმედმა, მშრომელმა, პატიოსანმა და სიმართლის განუყრელმა მეგობარმა, აწ განსვენებულმა დ. ზ. სარაჯიშვილმა, იმ თავითვე იცნო ნ. ზ. სულიერი არსების სიმშვენიერე და ამის გამო ისე დაუახლოვდა მას, რომ თითონ ჩამოირთვა თავისივე ოფლით შეძენილ ფულებზე მესაკუთრე პატრონის უფლება და მათი სხვებისთვის განაწილება, მათი გაცემა სხვებზე, სტიპენდიების დანიშვნა და ამგვარები ნიკოს მადლიან მარჯვენას მიანდო, ნიკოს სპეტაკ სვინიდისს და პატიოსნებას ჩააბარა. ნიკოლოოზ ცხვედაძის სულის მაღალ თვისებებს იმდენათ უმოქმედია დ. ზ. სარაჯიშვილის მგრძნობიარე გულზე, რომ სიკვდილის შემდეგაც სწყურებია მას ამ კეთილშობილ გვამთან განუშორებლობა და ანდერძად დაუტოვებია: ნიკო რომ გადაიცვალოს, გვერდით დამისაფლავეთო!.

ნეტარება ერთსაც და მეორესაც!

მაგრამ განა მარტო დ. სარაჯიშვილზე, მხოლოდ კერძო პირებზე ჰქონდა განსვენებულ ცხვედაძეს ასეთი უზომო სასიკეთო გავლენა? მან ფეხზე დააყენა მთელი საზოგადოება, მთელი ჯგუფი ქართველობისა და გაიყოლია ისეთ საქმეში, რომლის შესახებ სხვა უიმისო ხმის ამოღებასაც ვერ გაბედავდა. განსვენებულმა ცხვედაძემ დაწყებინა და დაასრულებინა ღარიბსა და უღონო ქართველ საზოგადოებას ისეთი საუცხოვო ტაძარი მეცნიერებისა, რომელიც დიდათ ჩრდილავს თბილისის ყველა სასწავლებელთა შენობებს და რომლის ბადალი დღეს ქართველ ერს არა მოეპოება-რა. თბილისის ქართული გიმნაზიის კოლოსალური შენობის თვითეული აგური მოზ ლილია ნ. ზ. გონიერი შუბლიდან მოწურული ოფლით და, თუ დღევანდლამდე უცხოელი მეცნიერები განცვიფრებაში მოდიოდნენ საქართველოს ძველი ტაძრებისა და ციხე-კოშკების გეგმებით, დღეიდან საქართველოში მათი ყურადღების პირველ საგნად შეიქნება თბილისის ქართული გიმნაზიის სიუცხოვო, მდიდარი მეფური შენობა.

რწმენა, რწმენა წრფელი და ძლიერი,— აი ის ზეციური მადლი, რომელიც ფრთებს ასხავს კაცს და ათრგუნვინებს მას ყოველ გვარ სიძნელეს. ამ მადლის საუნჯეს წარმოადგენდა ნ. ზ. ფართო გული და აკი წუნდაუდებელ გმირად გამოიყურებოდა იგი სიცოცხლეში!

ნიკოლოზ ცხვედაძესი და მის მსგავსთა არსებობა იმის მაჩვენებელია, რომ ქართველი ერი ჯერ კიდევ საღი და მძლავრია სულითა, ჯერ კიდევ შორს არის ზნეობრივი არა რაობისა და უძლურებისაგან. მადლიანი ხსოვნა ამგვარი პირებისა და შეთვისება მათი მოქმედების ხასიათისა ზნეობრივი ვალია ჩამომავლობისა. შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა, მტკიცე ანდერძად დაუდოთ ჩვენს შვილებს და შვილისშვილებს ნ. ზ. სახელის მუდმივი ხსოვნა და დავავალოთ მათ იმ პატიოსანი რწმენითა და მიმართულებით მოქალაქობა, რომლითაც მოღვაწეობდა დაუვიწყარი ნ. ზ. ცხვედაძე. შევთხოვოთ ზეციურ მამას, რომ სამშობლოსათვის დამაშვრალს და მტლედ დადებულს ნიკოლოზს მიანიჭოს მან საუკუნო კურთხევა და ნეტარების დამკვიდრება. ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდე.

სიტყვა

წარმოთქმული ნიკოლოზ ზებედესძე ცხვედაძის სამარეზე დაკრძალვის დღეს, 3 გიორგობისთვეს.

ძმანო! დღეს... „ისევ გლოვობს ჩვენი ქვეყანა!“

მისს მცხოვან ჭირისუფალთა გუნდს ჩამოსწყდა ერთიც ფრიად მგრძნობიარე სიმი!

ეს სიმი ორმოცი წლის განმავლობაში საუცხოვოდ უხმატკბილებდა ჩვენი ქვეყნის საზოგადო მოღვაწეთა მძიმე უღლის წევას. ამ უღელში შებმულ უანგარო, თავდადებულ მუშაკთ გამოეთიშა ნიკოლოზ ცხვედაძე!

საკმარისია ამ სამაგალითო ადამიანის ხსენება, რომ ცოტათი ოდნათ მაინც შეგნებულმა ქართველმა არ იგრძნოს, თუ რა აუნაზღაურებელი დანაკლისი მოუვიდა ჩვენს დაბეჩავებულ ერს ამ მოღვაწის დაკარგვით.

განსვენებული ნიკოლოზი ჩვენში ერთხმად მიჩნეულია სამაგალითო პედაგოგად ანუ, ჩვენებურად რომ ვსთქვათ,—„ახალ-თაობათა აღმზრდელ - მასწავლებლად, განმანათლებელად“. განმანათლებელად ამ მხრივ მან სამართლიანად მოიხვეჭა სახელი, ვინაიდგან ხანგრძლივი, ნაყოფიერი და გულწრფელი იყო მისი ამ დარგში მუშაობა.

მაგრამ განსვენებულის მასწავლებლობა არ განისაზღვრება ამ მცნების ჩვეულებრივ ვიწრო შინაარსით. ის ამასთანავე იყო მთელი ერის მასწავლებელი,—ის სათავეში ედგა საქართველოს გათვითცნობიერების წყაროს—„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

განსვენებული ამ ჩვენის სასიქადულო საზოგადოების ერთი უმთავრეს დამფუძნებელთაგანია, მისი პირში სულის ჩამდგმელი და მამოძრავებელი!

ამასთანავე განსვენებული არც ერთ სხვა კულტურულ დაწესებულებას ჩვენის ქვეყნისას არ აკლებდა თვისს მადლიან ყურადღებას და შემწეობას. ქირთლელის დარბაისელ სიდინჯით და შეუდრეკელ ენერგიით ნაყოფიერად იღვწოდა ის ყველგან, სადაც კი საჭიროდ დაინახავდა თვის მონაწილეობას. გარნა მასში საჭიროებდენ ყველანი ყველგან, ვინაიდგან განსვენებული ღვთისაგან დაჯილდოებული იყო პრაქტიკული ნიჭით, რაც, სამწუხაროდ, ასე იშვიათია ჩვენს ქართველობაში. ნიკოს ეთათბირებოდენ ყოველ მნიშვნელოვან საზოგადო საქმის მოგვარებაში!

მაგრამ განსვენებულმა საგანგებო საქმიანობის უნარი გამოიჩინა ქართულ გიმნაზიის აწინდელ დიდებულ სასახლის აგებაში.

ეს სასახლე, რომელსაც არც ტფილისის მომავალი უმაღლესი სასწავლებელი დაიწუნებდა, ჭეშმარიტად სიცოცხლეშივე აგებული უკვდავი და თან სასახელო ძეგლია განსვენებულისათვის!

ადვილად ითქმის ამოდენა შენობის აგების გაძღოლა, თან ათასგვარ დაბრკოლებებთა ძლევა, შენობის ჰიგიენურად თუ ხუროთ-მოძღვრულად მორთვა-მოწყობა!

აკი გულიც გაიწყალა განსვენებულმა! მაგრამ მაინც თავისი გაიტანა და განმანათლებლის სახელთან ერთად სამართლიანად შეგვიძლია უწოდოთ მას აღმაშენებელიც!..

ამ სახით ჩვენ დღეს ვეთხოვებით და სამარეს ვაბარებთ ფრიად და მაშვრალ, ქვეყნის ერთგულ, უანგარო მოღვაწეს, რომელმაც მთელი თვისი ძალ-ღონე მოახმარა დაჩაგრულ სამშობლოს სამსახურს.

განსვენებული, როგორც პრაქტიკული მოღვაწე, უგულითადესი მეგობარი იყო აქვე ამ ზაფხულს დაკრძალულ მამულიშვილის, დაუვიწყარ დავით სარაჯიშვილისა. იმათ მალე გაიგეს ერთმანეთის მიმართულება-გულისპასუხი და ორთავემ შეერთებულის ძალ-ღონით პირნათლად აღასრულეს მამულიშვილთა მოვალეობა სამშობლოსადმი,—ნიკოლოზი დავითის „მშვენიერი მხრის ხელი“ იყო!.

ესენი... სიკვდილშიდაც განუყრელნი აღმოჩნდნენ! ჯერ არც კი გამშრალა დავითის საფლავი, რომ იქვე, მის თავით, გააღო პირი მეორე საფლავმა, რომელმაც უნდა მიიღოს მეგობრის უსულო გვამი—ასეთი ყოფილა მათი სულიერი ურთიერთობა!..

გვამი ამათი მიიბარა სამშობლო მიწამ, ხოლო სულნი მათნი შევავედროთ, ძმანო მაცხოვარს, რათა მან დააწესოს ისინი, სადაცა მართალნი განისვენებენ.

გარნა საქმენნი მათნი მოგვიწოდებენ ჩვენ ქვეყნის სამსახურისადმი—ისინი გვიხმობენ: „მობაძავ ჩვენდა იქმენით, ძმანო“!

საყვარელნო! ვისმინოთ ხმობა ესე მათი, ქვეყნიური მოქალაქობა ჩვენიც არ იქმნეს ფუჭი, არამედ ნაყოფიერი, ღვთისა და ქვეყნის სასიამოვნო და სასარგებლო! ამ-ნ.

დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი
დეკანოზი ნ. თალაქვაძე.

სიტყვა

თქმული 1911 წ. გიორგობისთვის 2 სათავად-აზნაურო გიმნაზიის საეკლესიოდ დანიშნულს დარბაზში ნ. ზ. ცხვედაძის სულის მოსახსენებლად გარდაცვლილის ჰანაშვიდის წინ, დეკ. გ. ცინცაძის მიერ.

განუსვენე უფალო სულსა მონისა შენისასა!

ჭეშმარიტად ყველა ადამიანი არის მონა უფლისა და მიიღებს მისგან ხუთს, ორს, გინა ერთს ტალანტს, მსგავსად ძალისა თვისისა (მატთე 25, 5). განსვენებული ნ. ცხვედაძეც, რომლის ლოცვა-კურთხევით მოსახსენებლად

ჩვენ შევკრებილვართ აქ, იყო მონა ღვთისა და მოიღო უფლისაგან ტალანტი მასწავლებლობისა, რომელიც აქმნია მან ჯერ მის აღმზრდელ ტფილისის სასულიერო სემინარიაში და შემდეგ ტფილისის ქალთა ინსტიტუტში და წმ. ნინოს სასწავლებელში. თუმცა მასწავლებლობის სარბიელზე მოღვაწეობა ფრიად ძნელია, ვინაითგან ნორჩი და სათუთი არსება მასწავლებელმა დიდის სიფრთხილით და თავგანწირულებით უნდა აღზარდოს მამაკაცად სრულად, საზომად სავსებისა მის ქრისტესისა (ფ. 4, 13), მაგრამ გასვენებულმა ნიკოლოზმა ღირსეულად განვლო ერთხელ არჩეული სარბიელი ხსენებულ სასწავლებელში და დაიმსახურა მოწაფეთა და ამხანაგთა სიყვარული, ხოლო უფროსთაგან პატივისცემა და მოხუცებულობის დროს უზრუნველად ცხოვრების საღსარი.

ჩვეულებრივი ადამიანი ამ ვიწრო ფარგლით შემოხაზულს სარბიელზედ მოღვაწეობით დაკმაყოფილდებოდა, ხოლო მის ღირსეულად განსვლის შემდეგ, შეუდგებოდა მყუდრო ცხოვრებისთვის ზრუნვას. ნიკოლოზ ცხვედაძე კი ჩვეულებრივის ადამიანის სოფლმხედველობამ ვერ დაკმაყოფილა, რადგანაც იგი უფლისაგან დაჯილდოებული იყო არა ერთის მხოლოდ ტალანტით: მასწავლებლობის უღლის ზიდვის დროს, იგი ემსახურებოდა მშობელს ქვეყანას თუ ჟურნალ-გაზეთებში საჭირ-ბოროტო საგნებზე წერილების მოთავსებით, თუ მოქალაქეთა საბჭოს ხმოსნის სახელით, თუ ქართველთა ერის ემბაზის—სვეტიცხოვლის განახლების დროს მუშაობით და სხ. მაგრამ ეს ცხოველის სულის პატრონი ადამიანი ვერც ამ მრავალფერადოვანმა მოქმედებამ დაკმაყოფილა,—მას სწყუროდა მშობელი ერი განათლების სწორე გზაზე დ ეყენებინა. მან კარგად იცოდა, რომ წინათ ჩვენს ქვეყანაში განათლების საქმე სხვანაირად იყო მოწყობილი: თითქმის ყველა ეკლესიისა და მონასტრის ეზო წარმოადგენდა ეროვნულს სასწავლებელს, სადაც მოზარდი თაობა დახელოვნებულს ოსტატების, მღვდემონაზონთა მეთხებით ედა-ენაზე ითვისებდა ცნობას ღვთისა, ადამიანისა და გარეშემო ბუნებისას. მეცხრამეტე საუკუნეში კი, ეს ეროვნული სასწავლებლები განჰქრნენ, ხოლო მათ მაგიერნი ან არა სჩანდნენ, ან მიუწდომელნი შეიქმნენ ჩვენის ერისათვის,—სასწავლო ენის უცოდინარობა და ქონებრივად დაქვეითება მოსწავლეთა მშობლებისა შეადგენდა ამ მოვლენის მთავარ მიზეზს. ყოველი ეს გაითვალისწინა მოძმეთათვის გულშემატკივარმა ახალგაზრდა მასწავლებელმა ნ. ცხვედაძემ და მცირე რიცხვოვან თანამშრომელებთან ერთად შეუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელის და თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოწაფეთა შემწე საზოგადოებათა დაარსებას და მათ მიერ დასახულ მიზანთა განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ ნიკ. ცხვედაძე დატვირთული იყო არსობის პურის მოსაპოვებლად სამუშაოთი, იგი შეიქმნა ორსავე საზოგადოების საქმეთა მომდინარეობის მთავარ ძარღვად და სულ მოკლე დროში დაარსა სოფლად წერა-კითხვის სკოლები, ხოლო ტფილისში საშუალო განათლების სასწავლებელი,—ეს ჩვენი ძვირფასი გიმნაზია. დააყენა რა სწორს გზაზე წერა-კითხვის საზოგადოების სკოლათა მსვლელობა, მან განსაკუთრებითი ყურადღება მიაპყრო ამ ტაძარს განათლებისას, და გადასწყვიტა უზრუნველ ეყო იგი ყოველ მხრივ, და უმთავრესად საკუთარის შენობის შეძენით: სანამ გიმნაზიას საკუთარს შენობას არ მოვუპოვებ და არ დავაბინავებ ყოვლის მხრით გამართულს შენობაში, მანამ ვერ მოვისვენებო, იტყოდა ხოლმე განსვენებული... ბევრს, ძალიან ბევრს მოხუცებულს ახირებად მიაჩნდა მისმიერ გიმნაზიისთვის საჭირო ადგილის ძებნა და სასწავლებლის გეგმის დამზადება. ნ. ც—ძეს უნდა უფულოდ სასახლე ააშენოსო, გაისმოდა გარეშემო. ხოლო განსვენებული ამ დაცინვას თითქმის ვერც კი ამჩნევდა, ის დღე და ღამე იქმოდა (1 თეს. 2, 9) და სასოებდა არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შრომობენ მაშენებელნი მისნიო (ფს. 126, 1). უფალმაც აკურთხა შრომანი და რუდუნებანი (1 თეს. 2, 9) მისნი და, ეს უკვე რავდენიმე წელიწა-

დია, ჩვენი სასწავლებელი მოთავსებულია ამ შეუპოვარის ხასიათის და დაუცხრომელის შრომის-მოყვარე ადამიანის მეოხებით აგებულ სასახლეში. ეხლა კი ჩვენ ვიმყოფებით იმ დარბაზში, რომლის სულისწმიდის სამუდამო სადგურად გარდაქცევას განსვენებული მოელოდა ყმაწვილურის ხალისით და ალტაცებით. ამ განუხორციელებელის სურვილის შესრულება და ამ სასახლის შენარჩუნება სკოლისთვის მან უანდერძა მის თანამშრომლოთ და სასწავლებლის მესვეურთა, რომელნიც, უეჭველია, არა უგულებელს ჰყოფენ სკოლისათვის თავდადებულის მოხუცის მოლოდინს და უკანასკნელს სურვილს.

თქვენ კი, საყვარელნო მოწაფენო, ნურასოდეს ნუ დაივიწყებთ მის თქვენდამი განუსაზღვრელს მამობრივს სიყვარულს, თქვენდა საკეთილდღეოთ უანგარო განუწყვეტელ შრომას და მუდმივ წმ. მოციქულის სიტყვით დარიგებას,—გიყვარდეთ თქვენი სამშობლო არა სიტყვითა ხოლო, გინა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა (1 იოანე 3, 18). ეხლა კი, შევევედროთ უფალსა, რომ დააწესოს სული მისი მართალთა თანა და მიანიჭოს მას გვირგვინი უკვდავებისა. ამინ.

ცოტა რამ სამღვდელოების შეერთება და მათ შორის ურთიერთობა და კავშირის გაძლიერებაზედ.

არსად და არავისთვის, შეერთება და ერთმანეთის შორის კავშირი, ისე საჭირო არ არის და არც ისე ნაყოფიერი იქნება, როგორც— სულიერ მწყემსთა შორის. ამისთვისაც, მწყემსთმთავარი იესო ქრისტე, განკერძოებით ლოცვილობდა მწყემსთა ერთობაზედ: „მამაო წმიდაო, დაიცვენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, რათა იყვნენ სრულ ერთობითა",

წაიკითხეთ საქმე წმიდათა მოციქულთა და ნახავთ, თუ რა ღვთაებრივი სიყვარულით და მტკიცე, სიკვდილამდის განუყრელი კავშირით, სცხოვრობდნენ, ერთმანეთ შორის, მოციქულები და ან რა მამობრივი ზრუნვით ეპყრობიან, თვის ახლად განათლებულ სამწყსოს. შორის მყოფნიც არ ივიწყებენ მათ და აქვთ მათთან ხშირი მიწერ-მოწერა. მაგრამ გავიდნენ საუკუნოები და მოციქულთა მოადგილეთა შორის, თან-დათან შესუსტდა სიყვარული და ერთმანეთშორისი კავშირი.

როგორ სცხოვრობს დღეს სამღვდელოება? მგონი სრულიად განკერძოებით. მღვდელმთავრები, ეპისკოპოზის კურთხევის დროს თუ შეხვდებიან ერთი მეორეს, თორემ სხვა რაიმე მათ შორის ერთობა-კავშირზედ, ხომ ბაასიც მეტია. მათი ხელქვეითი სამღვდელოებაც ამავე გზას დადგომია და თვის მახლობლად, თვისივე თანამწირველის დანახვა, გულგულივით ეჯავრება და მასთან არც რაიმე კავშირი სურს. მიუხედავათ იმისა, რომ მთელს ეპარქიის სამღვდელოებაში არავითარი კავშირი არ არსებობს, იგი არ არის თითქმის თითეულ საბლაღოჩინოშიდაც. ამას ადვილად დაინახავდა ის, ვინც ჩვენს ეპარქიალურ და საბლაღოჩინო კრებებს დასწრებია და ან სამღვდელოების შინაგან ცხოვრებისათვის თვალ-ყური უდევნებია. მეტი რომ არ ვსთქვათ, არამც თუ მთელს საბლაღოჩინოში, არამედ ერთი ორ შტატიანი ეკლესიის, ერთ და იმავე მრევლში მოსამსახურე, ორ მღვდელ შუაც კი ვერ ჰპოვებთ ერთობასა და კავშირს. თვითეული ჩვენთაგანი, უმეტეს ნაწილად, სცხოვრობს თავის განსაკუთრებული ცხოვრებით, და საზოგადოებრივი მაჯის ცემა ჩვენს შორის თითქოს სრულიად შემწყდარა. პირად საქმის და სამსახურის მეტი, არც გვაწუხებს და არც გვახარებს რამე; ასე რომ ქრისტეს სარწმუნოებისა, და ტანისამოსის მეტი, ჩვენ საერთო აღარა დაგვრჩენია რა.

ბოდიშს ვითხოვ ჩემ თანამოძმეთა წინაშე, სამღვდელოების დღევანდელ შინაგან ცხოვრების ასე მუქი საღებავით დასურათებისათვის, მაგრამ რა ვქნა, თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს ნამდვილი მწარე სიმართლეა, ხოლო ამ სიმართლეს ოდესმე თქმა უნდა; ამან იქნებ

დაგვაფიქროს და გაგვაკეთებიოს რამე ერთმანეთთან შეერთებასა, კავშირსა და შეთანხმებაზედ.

მხილებისა და სასაყვედურო სიტყვების მაგიერ, რომლებიც ბევრს არაფერს სარგებლობას მოგვიტანენ, ჩვენ ამ ხანად შეძლებისა დაგვარად, მოკლედ ჩამოვთვლით იმ კეთილ შედეგებს, რომელნიც ჩვენს შეერთება და ძმურ კავშირს მოჰყვებიან.

ჩვენ ვიცით, რომ მღვდლის მოქმედება, იწყება ლოცვით ანუ ღვთის-მსახურებით. ღვთის მსახურება, ეკლესიის დადგენილობით, უნდა შესრულდეს ტიბიკონისამებრ, მაგრამ განა ყველამ ზედმიწევნით იცის ტიბიკონი? ათში ერთსაც გაუჭირდება, მისი ზედმიწევნით ცოდნა დაიჩემოს, ამისთვისაც, ახლად ნაკურთხი წინამძღვარი, ხშირად ღვთისმსახურებისა და სხვა-და-სხვა მღვდელთ მოქმედების დროს, მოქმედობს შეხედულებისამებრ, ახდენს შემოკლებას, რაიცა შემდეგში ჩვეულებად ექცევა, ხოლო ეს კი მსმენელზედ ცუდათ მოქმედობს და ჰბადავს ათას გვარ ცთომილებას. ერთმანეთ შორის, რომ ურთიერთობა და კავშირი ექონდეს, მაშინ კი სხვაფრივ იქნება: ვინაიდგან, თითეულ საბლაღოჩინოში ყოველთვის მოიძებნება ორიოდე ტიბიკონის და სხვა მღვდელ მოქმედების წესების ზედმიწევნით მცოდნე, მოხუცი მღვდელი ანუ მედავითნე, რომელთაც სხვა-და-სხვა კრებების და ურთიერთობის დროს, ადვილად შეეძლოთ, უცოდინართათვის განემარტებიათ და აეხსნათ ესა თუ ის საჭირო კითხვები და საძნელო ტიბიკონის დადგენილებანი, და ამგვარად მღვდელ მოქმედებაში, თუ მთელს ეპარქიაში არა, ერთ საბლაღოჩინოში მაინც ერთგვარი მოქმედება იქნებოდა.

მეორე საქმე მღვდლის მსახურებაში არის ქადაგება, რომლის აყვავებისთვისაც, სამღვდელოების შეერთება და ერთმანეთშორის კავშირი, ყველაზედ უპირველესი საგანია. თვით ქრისტე გზავნიდა მოციქულებს საქადაგებლად ორ-ორს, და მოციქულებიც, ქრისტეს ამაღლების შემდეგ, ჰქადაგებდნენ სახარებას ერთი მეორის შეწევნით და თანამგზავრების ხლებით. თუ მოციქულები, სულის წმიდის ძალით უცხოენებზედ მოსაუბრენი და სასწაულებრივი ძალით აღვსილნი საჭიროებდნენ ერთიმეორის და თანამგზავრების დახმარებას, და მაშინაც კი პავლე მოციქული ეჭვით ეკითხება თავს: „ნუ უკვე ცუდად ვრბიოდი ან ვსრბი“, მით უმეტეს ამაში საჭიროებს დღევანდელი სამღვდელოება, ყველასაგან დევნილი და მივიწყებული.

თუ რა საჭიროა მქადაგებლისათვის სხვისი დახმარება და მასთან კავშირი, ამაზედ მოგახსენებთ, რომ გარდა საღვთისმეტყველო განათლებისა, რომელსაც ბევრი ჩვენთაგანი მოკლებულია, მქადაგებლისათვის საჭიროა ცოდნა და გაცნობა სხვა და სხვა თანამორწმუნეების, წაბაძვით ღირსად ცნობილ მქადაგებელთა ნაწარმოებისა და იმ ქადაგებათა კრებულთა, რომელნიც დღეს ხშირად გამოდიან რუსულს და ქართულს ენებზედ—მქადაგებელთა ძნელი საქმის გასაადვილებლად, რომელთა არსებობაც, შესაძლოა, ბევრმა არც კი იცოდეს და თუ გინდ კიდევაც იცოდეს, ან შეძლება და ან ცოდნა არ შესწევს მათი გაცნობისათვის სხვის დაუხმარებლად. მაგრამ ყველაზედ უმთავრესი აქ ის არის, რომ მქადაგებელმა უნდა იცოდეს, როგორც თვისი მსმენელის და მრევლის ყოფა-ცხოვრება ისე მის სამრევლოს გარეშემო მცხოვრებთა სულიერი მიდრეკილებანი, ამათი გაგება და ცოდნა კი, მარტო მქადაგებლის ოთახის ფანჯრიდგან არ შეიძლება, ან რომ კიდევაც რამე გაიგოს და შეიტყოს, მისი ცოდნა ამ საგანზედ იქნება იწრო და ცალმხრივი, რაიცა ჯერ მის ქადაგების დამარწმუნებლობას შეასუსტებს და შემდეგ, ქადაგებაც მიზანს ვერ მიაღწევს. სამღვდელოების შეერთება-კავშირით კი ყველა ამ ჩამოთვლილ ნაკლულოვანებათა აცდენა ადვილია.

მესამე საქმე მღვდლის მსახურებაში არის სამწყსოს სულიერი დამწყსვა — ანუ მისი სულიერ მდგომარეობისათვის ზრუნვა. მღვდელმა უნდა იცოდეს თვისი სამწყსო და მისი სულის

კვეთება და აძლევდეს შესაფერ დარიგებას. აგრეთვე იგი უნდა იცავდეს მათ გარეშე მგელმტაცებელთაგანაც. აქ ხომ მისწრებაა არის მწყემსთა შორის კავშირი და ურთიერთობა და დამლუპავი განკერძოება და კარჩაკეტილობა.

ვსთქვათ, მღვდელი დარწმუნებულია, რომ მისი სამწყსო პატიოსნათ და ღვთისნიერათ სცხოვრობს და მათ შორის არავითარ ზნეობის გამხრწნელ მოქმედებას და აზრებს არა აქვს ადგილი, მაგრამ ეს კიდევ მაინც ცოტაა.

მან უნდა იცოდეს კიდევ ის, თუ რა ზნეობრივი სიმახინჯე და ცუდი მიდრეკილება არსებობს მის მრევლის გარშემო მცხოვრებთა შორის, რომლებთაგანაც, მის სამწყსოს, რაიმე კავშირი და შეხება აქვს.

ექიმები, გადამდებ სნეულებას, დამფარავი საშუალებით ებრძვიან, აგრეთვე სამღვდელოების ზრუნვა მარტო იმის გაგებაზე კი არ უნდა იყოს მიქცეული, რომ მის სამწყსოში არის რაიმე ცოდვები თუ არა, არამედ გარედან მომავალი ცთომილებანიც უნდა აიცდინოს, დროით შესაფერი საშუალებით შეხვდეს და მრევლში არ შემოუშვას. ამისთვის კი სამღვდელოების ერთმანეთს შორის კავშირი და ურთიერთობა ნამდვილი ფარია; ვინაიდგან ერთმანეთთან კავშირის და ყოფნის დროს, მათ ყოველთვის ექმნებათ საშუალება, გაიგონ ერთმა მეორის სამრევლოს ცხოვრებაში მყოფი ესა თუ ის ცთომილება-მიდრეკილებანი და საერთო მოლაპარაკეჲით საშუალებაც გამოსძებნონ.

გარდა ამისა ვინ არ იცის, რომ სამწყსოთა სულიერ დაცვისათვის, უპირველეს საშუალებათ მოძღვრობა ითვლება, რომელიც მღვდლისაგან დიდ დაკვირვებას და ხანგრძლივ გამოცდილებას მოითხოვს, ხოლო ჩვენში ხომ კარგი მოძღვრები, სანთლით საძებარნი არიან. მაშ სად უნდა შეიძინოს მღვდელმა გამოცდილება და საჭირო ცნობები, მოძღვრების ძნელ საქმეში, თუ არა თვისივე გამოცდილ მოძმეთა კავშირსა და ურთიერთობაში.

წოდება და მდგომარეობა მოითხოვს მღვდლისაგან, რომ იგი ყოველმხრივ განვითარებული და ყოველისფერში გამოცდილი იყოს. ვინაიდგან იგი სამღთოწერილში იწოდება: ანგელოზად, წინასწარმეტყველად, სანთლად, მარილად და სულიერ მამად. მან ყოველიფერზედ თავის ავტორიტეტული სიტყვა უნდა სთქვას, მანვე უნდა აუხსნას მრევლს როგორც სარწმუნოებრივი ისე ცხოვრების სხვა-და სხვა საეჭვო კითხვები, მასთან მიდიან ასი და ათასი სული სხვა-და-სხვა წოდებისა, მდგომარეობისა, ასაკისა, სქესისა და მისგანვე მოელიან მამობრივ ზრუნვა - დარიგებას. მაშასადამე მღვდელი მუდამ უნდა ზრუნავდეს თვის ყოველ მხრივ განვითარებას.

მაგრამ როგორ უნდა უგდოს ყური და ადევნოს თვალი ყოველივეს მან მხოლოდ ერთმა და ან რანაირად შეუძლია მას, განვითარდეს და ყოველიფერზედ პასუხის მიმცემი შეიქნეს? მართალია თვით-განვითარება-გამოცდილებისათვის საჭიროა მუდმივი სწავლა და სხვა და სხვა დარგის წიგნების და ჟურნალ-გაზეთების კითხვა და საერთოდ, მიმდინარე ცხოვრების თვალყურის დევნება, მაგრამ მარტო ერთ მღვდელს, ისიც დღევ-ნდელ ხელმოკლე ცხოვრებაში, განა შეუძლია სხვის დაუხმარებლად, ყოველივე წიგნები და ჟურნალ-გაზეთები გამოიწეროს და თვალ-ყური ადევნოს მიმდინარე ცხოვრებას, თუ გინდ ამისთვის შეძლებაც და დასამხარ ადგილზედ ყოფნაც ხელს უწყობდეს? განა ჟურნალ-გაზეთობა, ეს მკვდარი უსულო საგანი, იმდენს გეტყვის და გაგაგებინებს, რამდენსაც, შენ ცხოვრებაში გამოცდილი და გამობრძმედილი, რამოდენიმე წელიწადი შენისთანავე ასპარეზზედ მოსამსახურე და მომქმედი ამხანაგი? ან თვით ჟურნალ-გაზეთობას და წიგნებს, ერთიმეორის დახმარებით და ნათხოვრობით უფრო არ გავეცნობით?

იათამზი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. *)

თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეორე: ჩვენი საზოგადოებრივობა. ფასი 80 კ.

III.

ამ მეორე წიგნში აქვს ბ. არჩილ ჯორჯაძეს მოთავსებული ნიჭიერად დაწერილი სტატია „პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე“, რომელიც, როგორც თვით ავტორიც ამბობს, „არ გვაძლევს სრულ სურათს ილ. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობისას“, მაგრამ მაინც რამდენიმედ შეუქს ფენს მის საზოგადობრივს, პუბლიცისტურს მოღვაწეობას და ახასიათებს მას თითქმის სინამდვილითაც.

სამოციან წლების ლიბერალთა უნიჭიერესმა ბელადმა—ილია ჭავჭავაქემ 1876 წ. „დროების“ № 27-ში დასტამბა თვისი ფრიად საყურადღებო სტატია „სად არის ქართველი და ქართველობა?“, რომლის ბადალი ეროვნულ საქმეთა შესახებ დაწერილი ძვირად შეგვხვედრია ჩვენს ლიტერატურაში. ბ. არჩილს ამ სტატიიდან მოაქვს ციტატები და სამართლიანად წერს: „აქ ავტორი თითქმის იმდენათვე ძლიერია, როგორიცაა ის თავისს ხელოვნურს ნაწარმოებში. და, ვკითხულობთ რა ამ გულწრფელ, გულის სიღრმიდან გადმონაჩქეფ სიტყვებს, ჩვენდა უნებლიედ გვაგონდება „გლახის ნაამბობში“ დაწერილი სამი სტრიქონი, რომელიც ჩვენს მოვალეობას სამშობლოსადმი გვაცნობებენ: „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნის არის, ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა, შზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არა სჩანანო“. .

ეროვნული პროგრამა, ილიას მიერ შემუშავებული ქართულს ლიტერატურაში, უცვლელად მიღებული აქვს ბ. არჩილ ჯორჯაძეს. ხოლო, რაც შეეხება ეკონომიურს პროგრამას ილია ჭავჭავაძისას, იგი ამაში არ ეთანხმება ილიას და ამბობს: „უმთავრესი საგანი ჩვენის უთანხმოებისა ეკონომიური ნიადაგია. ჩვენი ავტორი წოდებათა წყობილების გაღონიერების ზრუნვაშია, რადგან ჰგონია, რომ ამ წყობილების დაურღვეველად შესაძლებელია საერთო ეკონომიური კეთილდღეობა. ჩვენ კი გვგონია, რომ საერთო კეთილდღეობა მოითხოვს ახალ საზოგადოების დაფუძნებას, იმგვარ საზოგადოებისა, რომლის არსებობა შრომაზედ იქნება დამყარებული და ამისათვის, რაც უფრო მალე დაირღვევა ჩვენებური წოდებრივ ურთიერთობაზედ აშენებული საზოგადოებრივი აგებულება, იმდენად მეტს მოიგებს ჩვენი ხალხი და ჩვენს ეროვნებასაც უფრო მკვიდრი შეურყეველი ნიადაგი ექნება საფუძვლად“...

ერთხელ, მახსოვს, სასწავლებელში მიღებული ვიყავი, თუ არა, კარგად ვერ მოგონებია ახლა, რომ სინამდვილით მოგახსენოთ, მამა ჩემმა ხონის სანახავად წამიყვანა. შვენიერი ივნისის დღე იყო და ხონის ბაზარში მისეირნობდენ ერთად მამა ჩემი და ხონის საკრებულო ტაძრის მოძღვარი ვასილ ქუთათელაძე. მე იმათ უკან მივყვებოდი. ამ დროს ელვის სისწრაფით ჩამოიქროლა ვიღაც უცხო ელვარე ადამიანმა, რომელსაც მოძღვრებმა გზა უთავაზეს და ვასილმა სალამიც მიუძღვნა მას.

— სპირიდონ! მიუბრუნდა მამა ჩემს ვასილ ქუთათელაძე. აი, ჩვენი დიდი ნიკო ნიკოლაძე ეს არის, რომ ამბობენ. მე გული დამწყდა, რომ უცნობს ვერ შევხედე კარგად. მაგრამ ვასილ ქრთათელაძის სიტყვებს დიდხანს გაქონდა ბეჟილი ჩემს ყურებში და ჩემს თავს ვეკითხებოდი: ვინ იყო ეს „დიდი ნიკო ნიკოლაძე“, კაცი, რომლის მსგავსი მე არ მენახა ჩემს დღეში ქუთაისშიაც...

ეს ის დრო იყო, როცა ნიკო ნიკოლაძე «კრებულ-დროებას» მეთაურობდა და მკითხველ საზოგადოებაშიაც დიდი სახელი ქონდა გავარდნილი.

ახლა იმ დროის მეთაურ მწერალ ნ ი კ ო ლ ა ძ ე ზ ე ც ამავე მეორე ტომში ბ. არჩილ ჯორჯაძეს მოუთავსებია თვისი დაუსრულებელი წერილი.

ნ. ნიკოლაძე, როგორც პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ერთი უდიდესი მნიშვნელობის საგანია ქართველი მწერლისთვის, რო-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 35.

მელსაც აინტერესებს ახალ აზდა საქართველოს აღორძინების ისტორია და თავ-გადასავალი.

ამ მწერლის დასაფასებლად საჭიროა მიმართოთ არათუ იმ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, სადაც უწერია ნ. ნიკოლაძეს თვისი სტატიები. უნდა გადაათვალიეროთ აგრეთვე ფრანგული ჟურნალ გაზეთები, ჰერცენის «კოლოკოლი», სადაც სტატიებს წერდა ჩვენი თანამემამულე. ამავე დროს იგი რედაქტორობდა და სტამბავდა საზღვარგარეთ საკუთარს ორგანოსაც რუსულ ენაზე «Современности». იგი მუშაობდა «Отечеств. Зап.» ნ. მიხაილოვსკის დროს, «Былое»-შიაც და სხვა სატახტო ქალაქის ორგანოებში, ჩვენს საქართველოში იმისი სტატიები „Кавказск. Вѣст.“ ში, იმისი საკუთარი „Обзоръ“ და „Новое Обозрѣніе“ ხომ ყველა ინტელიგენტმა იცის. ერთი სიტყვით, აუარებელი მასალაა გა ასათვალიერებელი, რომ ამ კაცის ღვაწლი სავსებით და ნათლად გაითვალისწინოს მკითხველმა. ამას ბ. არჩილიც გრძნობს და სამართლიანად ამბობს, რომ „ყველა ამ მასალის შეგროვება მეტად მოუხერხებელია და იქნება შეუძლებელიც ამ ჟამად“.

ჩვენ ამაში არ ვეთანხმებით პატივცემულ და ნიჭიერ პუბლიცისტს. რუსეთში ახლა ისეთი დროა, რომ შეიძლეს გამოცემა ნ. ჩერნიშევსკის, ჰერცენის და სხვების ნაწერებისაც და ნ. ნიკოლაძის ნაწერების შეგროვება და გამოცემაც არ უნდა შეადგენდეს „მოუხერხებელსა და შეუძლებელს“ საქმეს. ჩვენ, პირადად, ნამდვილის წყაროებიდან ვიცით, რომ თვით ნიკო იაკობისძე, მოუცლელობისა გამო, ამ საქმეს ვერ მოკიდებს ხელს და ისე კი სხვა, გარეშე პირს, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ვერ მოუხერხებია ეს დიდი და სანაქებო საქმე. და რატომ მერე?

იმიტომ, რომ ჩვენი ყოველდღიური პრესა საქმის გასაკეთებლად ქართველს არ იწვევს, არ ამხნევებს. იგი მზა-მზარეულ ლოზუნგების დევნას, ურთიერთშორის ამტყდარ პოლემიკას უნდება...

თქვენ, უეჭველია, გახსოვთ უკვდავი შჩედრინის სატირა, რომ ქალაქ გლუპოვის ოლქის სასამართლოში დაწესებული იყო ჩვეულება — არაფერი საქმე არ განეხილათ, არამედ შეკრებილიყვენ მხოლოდ და მარტო კანონების საკითხავად. აი, სწორედ ასეა ჩვენშიაც. საქმე, საქმიანობა კი არავის აინტერესებს. მხოლოდ გაზეთები გამოსცენ, შიგ ავ-ყიობა გამართონ, ერთმანეთი გამოლანძღონ და დაამცირონ, წუთიერი, უნიადაგო სურვილები გამოაცხადონ და ილაზღანდარონ. აი, ეს მიაჩნიათ ჩვენებურ „გაზეთჩიკებს“ ჟურნალისტის დიდ საქმედ. ასეა, თუ ისე, ჩვენ, მადლობა ღმერთს, ილია და აკაკი ჯერ არ დაგვიწყებია. მაგრამ, რაც შეეხება ნ. ნიკოლაძეს, ახლანდელი პარტიების მეოხებით, ვინ გინდათ, ვის ინატრებთ, რომ არა ლანძღავდეს მას, თვარა პირუთვნელ, მიუდგომელ ვანსჯას ვინდა სჩივის...

ამიტომ ბ. არჩილ ჯორჯაძის სტატია ნ. ნიკოლაძეზე, რომელიც მხოლოდ ნაწყვეტია და მეტი არაფერი, მაინც სასიამოვნო მოვლინებად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მრეწველობაში. ნ. ნიკოლაძე, მიუცილებლად, ჩვენი განახლებული ლიტერატურის და გონების მოძრაობის ერთი უნივერსი, თითქმის გენიოსი მესვეურთაგანია; ქართველებს გარდა, იმის მადლიან კალმის ნაწარმოებს ყავს ურიცხვი მკითხველი სომეხთა, რუსთა და უცხოთა შორის, რომელნიც დიდი სიყვარულითა და პატივცემით მოიგონებენ ხოლმე ამ კაცის სახელს, და საქართველოსთვის თავდადებულს მოღვაწეობას. რაც უნდა მკაცრის კრიტიკით შეხედონ მის საპუბლიცისტო ლიტერატურის სარბიელზე გახამოცარს მოღვაწეობას, ნიკო ნიკოლაძე, ვითარცა დიადი მღელვარე სულის და ძლიერი, მდიდარი ენთუზიაზმით აღსავსე პუბლიცისტის სახელი მაინც უკვდავი დარჩება მადლიერი ქართველთა ერის ხსოვნაში. ნიკო ნიკოლაძე ეკუთვნის დიადი, რთულ ბუნებოვან პირთა კატეგორიას და იგი, ვითარცა ასეთი ბუნებისგან უხვად დაჯილდოებულია დიდი, ძლიერი შემოქმედებითი, სამხატვრო, ცოცხალი ტა-

ლანტით, რომლის უტყუარი ნიშანი, სხვათა შორის, არის იმისი ქართული საპუბლიცისტო მანერა წერისა „კრებულ-დროება", „შრომასა" და „მოამბეში" ნამეტურ. ფრიად მიმზიდველი და წარმტაცია ამ პუბლიცისტის სხარტი, მოქნილი, დახვეწილი, ნაიესავით სუბუქი, მასთან მკვეთრი და მჭექარე, ცოცხალი სალიტერატურო ფორმების ხმა-ება, მახვილი და წარმტაცი ენა და, ამიტომაც, ნიკო ნიკოლაძე ქართულს პუბლიცისტიკაში სწორედ ისე, როგორც აკაკი ქართულს ლირიკაში, ერთი დიადი, გენიოსური გამომხატველთაგანია და შემქნელი ქართული ახალი საპუბლიცისტიკო ენისა. მაშასადამე, არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ პირუთვნელმა სალიტერატურო კრიტიკამ ნიკო ნიკოლაძე ჩასთვალოს ქართლოსიანთა ერის ახალი ლიტერატურის ერთ-უდიადეს, უშესანიშნავეს მნათობად...

ხომლელი.

ბერის დღიურიდგან.

სული და ნივთი.

თვითცნობიერების დაბალ საფეხურზე დგას ის ადამიანი, რომელიც თავის თავს, როგორც გონიერ არსებას, უსულო ნივთიერებისაგან ვერ არჩევს. ეგეოსფერი რაც ნივთიერების სასელწოდებას ატარებს ხრწნადია, ნივთი ბუნებით მკვდარი არსებაა და სიცოცხლის აზროვნობა ეოგლად წარმოუდგენელია მის მიერ. ბუნებით მკვდრისაგან სიცოცხლის გაჩენა უბუნებოა და უაზროსაგან აზრის გადმოცემა ბუნებურ კანონის წინ მასხრობაა. ნივთს ბუნებად რაც არა აქვს, იმას ვეთ წარმოშობს. ამბობენ ჭერძოთ ნივთიერების აზრი არა აქვს, მაგრამ სხეულად შეწყობილ ნივთიერებას აქვს თვისება სიცოცხლე-აზროვნებისა. მაგრამ კაცსა და ნივთს შორის აზროვნების მხრივ განრჩევა რადენობითი რადა? თუ შემიდგენელი ნაწილი სხეულისა ნივთი ბუნებით მკვდარია და უაზრო, როგორც ბნებაგსა მიაწვგ-მოაწვეთ, მოაზროვნე სხეულს მაინც ვერ მიიღებთ. ჩონგურის სიმები ცალ-ცალკე რომ არ წკრიალებდენ, როგორც ბსურთ გადაბ გადმოაბათ ერთად ვერ შეხმატკბილებთ.

სიცოცხლე, როგორც არ ნივთის ქ�-ბარე, ნივთშიაც ცეურ სამუდამო ბრწყინვალებას იჩენს. ნივთიერ ბუნების სჯულისდებანი ერეულებითნი, ბინა საზღვარ-დებითნია, ხოლო სულის სჯულისდებანი, რომელ არს ბინებითნი, უსაზღვროებით თავისუფლებს. სულის თავისუფლება შეუკვრელ და შემოუსაზღვრელია, სულის მოთხოვნილებანი და მისი თვისებები არიან შექმნულ სამარადისო უკვდავ სურვილით და ეს მისი სურვილი უნივთო თვისებებშია და ხორციელდება მარადის უსაზღვრო სისრულისადმი ზეადლეგაში. სული უსაზღვრობით ფრინავს, მისი ბინებრივი თვალი ჯაჭვ-ჯრულებით რადა შემოსაზღვრული, მზკავსად ნივთიერ ბუნებისა, არამედ თავისუფლებით ადმავალობს.

თუ სული და ნივთი ერთი მატერიალური მამუდეა, უსათუოდ ერთ-თვისებათა პირობებში ერთი მიმართულება და თანხმობა უნდა სუფევდეს მათში. თუ სული მაღალ-ზობიერებითი არსება არ არის და ნივთის ბუნებური შობიერებაა, მაშინ რად არსებობს მათ შორის სხვა-და სხვაობა თვისებამ მართულებისა? ვინ სად ისილა, ან ვის ესმა მზის დისკოსაგან ხან ბნელისა და ხან ნათლის მფენობა, თუ არ ეშეკედა მას მეორე ბეამოვნება—ბინა ბლანეტი? ერთ სუნჯეში—ბინა ერთ ჭურში რვდენიც სხვა-და-სხვა ნაირი დვინო ჩასხა შეზავების შემდეგ მთელ ჭურიდან გადმოსხმული დვინო ერთ ბემოვნებაა, ერთ ძლიერების ბამოვა. ერთ წყაროდან ადმოშდინარე წყალი ეოგლადვე ერთ-თვისების და ერთ-სანახობის ცნობას გადმოგვცემს. მაშ რა უეჭეშმარიტეს არს ამისა, რომ მეედრ ნივთიერებიდან ცოცხალი, აზროვანი სული გამოგეოთ და ერთ. ნივთიერ წყაროდან მოშდინარეთ არ შეგიწყნაროთ?

მრავალს აბრკოლებს ის, რომ სული უხილავია ამბობენ, კაცის სხეული ასო-ასოთ დავსჭერით, მაგრამ სული ვერ ვნახეთო. რა დაუკვირებელი და ბავშური სჯა! ბინა ცოტაა ბუნებაში უხილავი, მაგრამ ამაკე დროს ეგელასთვის სარწმუნო?! ვის შეეძლია ბანიცადოს ხორციელის

თვალით, ვინ ნახა ხილულად მოზარდობის ძალა? ყველა გამჩნევთ და ვიცით, რომ იზრდება ნორჩი ბაგშვი სრულ ჰასაკოვანებამდე, ჰაწია ნერგი დიდ ხედ, მაგრამ ეს საიდუმლო მოქმედება გიხილავსთ ვისმე? ან შეგიძლიათ მოზარდობითი ფარულ მოქმედების გამოხატვა, ან დასახვა?

ჰაი აგერ სიმინდის ყანაა, ჯერ უტარო ნედლ ფურცელოვანი ღეროებით მოფენილი, ერთი ამ ღეროთაგანი ძირიანათ მოვსთხარეთ, ნაკვეთ-ნაკვეთად დავსჭერით, დავლეწეთ, მაგრამ ვერსად რა ვიპოვეთ თვალსაჩინოდ ნიშანი მის შორის მყოფის იმ საიდუმლოებისა, რომელსაც გვპირდება ეს ნედლი ღერო. მაგრამ განა ჭკუის მოტყუება არ იქნება, რომ ამ განხილვას დავემყაროთ და ვსთქვათ, ამ ღეროში არაფერი ყოფილა მომავალ ნაყოფის დასამტკიცებელი საბუთი? ვინ არ იცის, რომ მუშაკი ამ ყანისა შრომობს შეუორგულებელ სარწმუნოებით, რომ გამოიღებს ეს ღეროები დიდებულ ტაროებს მომავალ წლის სარჩოდ და მიუხედავად იმისა, რომ ამ წამს მის წინ მხოლოდ ცალიერი ღეროა, იგი ღრმად დარწმუნებული გულსმოდგინეთ მუშაობს. ახლა მომიგე, ურწმუნოების ეჭვით ტანჯულო ძმაო, ამ სიმინდის ნედლ ღეროში, რომელიც ნაკვეთ-ნაკვეთად დავსჭერით და ვერაფერი ნიშანი ტაროებისა ვერ ვიპოვეთ თვალსაჩინოდ, რასა იტყვი, ყოფილა თუ არა დაფარულად ის ძალა, ის საიდუმლოება, რომელიც შემოდგომაზე გალოებად დაგროვებული ახარებს მუშაკს. ხედავ ძმაო საიდუმლოებით ფარულ ძალა-მოსილებას! ჩადი! ღეროები ცალკე დარჩა და მის შორის საიდუმლო ნაყოფ-სხმულება ცალკე გალოებად მოგროვდა. აგერ კიდევ შებრძანდით ბაღში გაზაფხულის დღეს. გადაავლეთ თვალი ხილნართა ჯეობას, ამწვანებულ ფურცლებით დაბურულს. ერთი ამათგანიც მოვჭრათ და დავაპოთ ნაკუწ-ნაკუწათ და სწორეთ იგივე სიმინდის ღეროების დაგვარ ვერას ვიპოვნით შინაგან ამ ხისა ნიშანს მის მიერ მომავალ ნაყოფთა სახესას, რაც თავის დროზე რტოთა სხმულ სიმდიდრე სას-შვენიერება ახარებს თვალთა. რადა ასე თითო-თითოდ მოვაბეზროთ თავი ნუ თუ მთელი სამეფო მცენარეთა ამ საიდუმლოებით არ არის გადაშლილი ჩვენს თვალწინ?

ალექსი ბერი.

კიდევ ღია წერილი ოზურგეთის მაზრის მისიონერს თავადს მელქისედეკ ნაკაშიძეს.

(დასასრული *).

მეტად სადაო და საცილობელ საკითხს ეპოტინებით, როდესაც ამბობთ—ძველად გურიიდან ვრცელდებოდა გალობა ქართლ-კახეთში. ამის საბუთები რომ ხელში გქეროდათ, კიდეც მოიყვანდით, მაგრამ თქვენდა სავალალოთ ასეთი არა გაქვთ რა და იმიტომ მარტო ლითონი სიტყვებით რიკაობთ.

მღ. პ. კარბელაშვილს თავის მეცნიერულ ნაშრომში ქრონოლოგიურათ აქვს აღნიშნული, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ყველა საუკუნეში ყოფილან სრული მგალობლები, ყოფილან ისეთებიც, რომ მეტი გალობა სცოდნიათ, ვიდრე დასავლეთის საქართველოს მგალობლებ **).

თუ მეჩვიდმეტე საუკუნეში გურიაში ბრწყინავდნენ იაკობ დუმბაძე და იოანე ჩხატარაიშვილი, სამაგიეროდ ამავე დროს ქართლს ატკბობდნენ და ამკობდნენ სრული მგალობლები: პაპუნა ყანჩაველი, არსენ დაყუდებული, საბა მგალობელი, ისაკ მგალობელი, იორამ მგალობელი, იობ ფიტარეთელი, დეკანოზი იესე ტლიაშაძე, დავით მესხი, გიორგი მესხი და სხ. ***)

დაამტკიცეთ უტყუარი საბუთებით, რომ ჩამოთვლილი პირები ყიზილბაშურათ ყიყინობდნენ, რომ ეს პირები გალობდნენ არა ქართლკახურ კილოზე და ჩვენ ქედს მოვიხრით თქვენ წინაშე, მანემდისინ კი ნებას ვიტოვებთ თქვენს მსჯელობას ვუწოდოთ სიცრუე.

განსვენებული ეპ. პეტრეს წიგნიდამ ამოღებული მოწმობა, როგორც საერთოდ ყველა თქვენმიერ მოყვანილი ციტატები, არაფერს სასარგებლოს და თქვენი სახელის გამოსაჩენს არ შეიცავს. ეს ალაგიც ისე უაზროთ და უხერხულათ გაქვთ მოყვანილი, როგორც ა. ჯამ-

*) იხ. «შინ. საქ.» № 36.

**) ქართული საერო და სასულიერო კილოები, გვ. 74.

***) იქვე გვ. 75.

ბაკურ-ორბელიანის წიგნიდამ გამოკრებილი ციტატები. ყოვლადსამღვდელო პეტრე აღნიშნავს მხოლოდ იმას, რაც მას უამბეს ათონის მთაზე იოანე ღვთისმეტყველის სავანის ქართველმა ბერებმა, მაგრამ დასაჯერებელი და სახეში მისადებია ეს ნაამბობი თუ ჭორი და მოგონილია,—იმაზე იგი სდუმს და ესეთი დუმილი თქვენთვის სამსალაში ამოვლებული ისარია. ყოვლადსამღვდელო პეტრე ძალიან კარგათ გიცნობდათ სინამ ათონში წაბძანდებოდა, მან მშვენივრათ იცოდა, რომ ერთ დროს თქვენ ჩაბარებული გქონდათ თბილისის სემინარიაში ქართული გალობის საქმე; სემენარიაში რომ რამე უნარი გამოეჩინათ გალობის სწავლებით, გნსვენებული ყოვლადსამღვდელოც ნდობს თვალით შეხედავდა ბერების ნაამბობს თქვენ შესახებ, ამ ნაამბობს ესათუოთ დაუმატებდა—თბილისის სემენარიაშიც ასე სახელოვანათ ისჯებოდა თავადი ნაკაშიძეო, მაგრამ რაკი ამისთვის მას არავითარი საბუთი არ ჰქონდა, კრინტსაც არ სძრავს, თითქოს მარტო ათონის მთაზე გაიგონაო პირველათ თქვენი სახელი და გვარი.

რაც შეეხება მაქსიმეს საბიოგრაფიო წიგნაკიდამ ამონაწერს, ეს მთლად ბალღობაა თქვენის მხრით და მაგონებს არაკს, მელას რომ თავისი კუდი მოწმედ მოჰყავდა. გადავდიგარ შატბერდის კრებულზედ, ან მიქელმოდრეკილის საგალობლებზედ.

თქვენ, ენაწყლიანობთ და მახვილაკობით მიბძანებთ: „გამიწრეს თქვენი ქაჯების მადლი, ბატონო ქაჯეთელო, თუ მესმოდეს სიდან გამოატყვრინეთ შატბერდის საგალობლები და მისი ჯასაღებები ქართულს გალობასთან, რომელის მსგავსი მე არაფოდეს არავისთან არ მითქვამს და არც შემეძლო მეთქვა, მაგრამ. ალბათ თქვენ გსურთ ახალი სახელით მონათლოთ ქართული გალობა, როგორც კარბელაშვილებმა მონათლეს თავიანთი სამღერების კილოზე შეთხზული გალობა ქართლ-კახეთის კილოთ“-ო.

შატბერდის საგალობლები და გამოტყვრენა! მაშ დ. ბაქრაძე, პ. კარბელაშვილი, მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანია და ათასი სხვები სულ ცრუები ყოფილან, რომ ამ საგალობლებზე მსჯელობენ და გამოკვლევებს სწერენ, იმათაც მოუპორავთ, იმათაც სურვებიათ ქართული გალობის ახალი სახელით მონათვლა!

დღეს სოფლის ერთკლასიანი სასწავლებლის მოწაფემაც იცის, რა დაუფასებელი საუნჯეა ქართული გალობისათვის შატბერდის ან მიქელმოდრეკილის საგალობელთა კრებული და შენ კი ყოყლოჩინობით მეკითხები—საიდან გამოატყვრინე ეგ კრებული ქართულს გალობასთანაო!

აქ, ბატონო მგალობელო, შენივე საკუთარი ხელით გააცალტერე და მთლათ გაანადგურე შენი თავი, ასე რომ ამის შემდეგ აღარ ღირს შენთან ბაასი, მაგრამ ნათქვამია „მტყვანს ტყუილის კარამდე ჩაჰყე“-ო და მეც ვეცდები ჩავათავო ბოლომდე სიცრუით ავსილი თქვენი წერილი.

სიცრუეა, თქვენი დარწმუნება: „მემუსიკე, რაც გინდა უმაგალითო ნიჭის პატრონი იყოს, ყოველივე მისი ცდა ქართული გალობის გასაღებების საიდუმლოების შესწავლისათვის ამაო იქნება“ და სხ. კაცმა იეროგლიფები გაარკვია, ლურსმული წარწერები წაიკითხა და არაფერი საეჭვო არ არის, რომ ჩვენი გალობას ძველ ნიშნებსაც უსათუოთ აუღებენ აზრს და, ჩვენ თუ არა, ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს აინც შეეძლებათ შეუცდომელათ გარჩევა ამ ნიშნებისა, რომლებითაც აპრელებული არიან შატბერდისა, ალავერდისა და ფიტარეთის საგალობელთა კრებულები. რასაკვირველია, ამას მოახერხებენ ისეთი პირები, როგორებიც არიან კარბელაშვილები, ფალიაშვილები, კარგარეთლები, ჩხიკვაძეები და არა თქვენი მუსიკალური განვითარების პატრონები, ბ. მელქისედეკ. აღნიშნულმა პირებმა უკვე შეიტანეს თავიანთი წვლილი ჩვენი გალობა-სიმღერის საგანძურში და თქვენ ბევრიც რომ იფხაკუროთ, ვერაფერს წაართმევთ მათ სახელებს. პირიქით, თქვენ რომ ნამდვილათ გალობის ერთგული მუშაკი იყოთ, ძმურათ უნდა იყოთ მათთან გადაჭდეული. „გალობის მცოდნე პი-

რები სამია მეტი აღარ არის მთელს ივერიაში. ახალიც აღარავინ სწავლობს, რადგანაც ქართული გალობისათვის არავითარი ჯილდო არ არის დანიშნულიო", ბრძანებთ. ამ ივერიის სამ მცოდნე მგალობელთა შორის ერთ პირად, უსათუოთ, თქვენს თავსა გულისხმობთ, მეორედ—დეკანოზს დავით დუმბაძეს და მესამეთ ან დიტო ჭალაღანიძეს, ან მღ. რაჟდენ ხუნდაძეს. ყველას სამსახური გქონდათ და გაქვთ სასწავლებლებში, ყველას საკმაო ჯამაგირით გაჯილდოებდნენ შრომისათვის და არც ჯვარ-მენდლებს გაკლებდენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, თქვენ თითონ აღიარებთ თქვენი ტკბილად მგალობელი ენით, რომ დღევანდლამდე ყველა ჯამაგირიან-ჯვრიან-მენდლიან მგალობლებს ერთი მგალობელიც არ გამოგიზრდიათ ივერიისათვის, თუმც ყველანი ჭაბუკები აღარ ხართ და ხშირი ჭაღარა გიბრწყინებთ სახეს. თქვენ, თავადო მელქისედექ, როროც მაზრის მისიონერს, დღესაც კარგი ჯამაგირი გეძლევათ მთავრობისაგან და განა რაში უნდა მდგომარეობდეს თქვენი მისიონერობა, თუ არა გალობის აღდგენა-გავრცელებაში? რამ შეგიშალათ ხელი, რომ დღევანდლამდე სამი გურული ახალგაზრდისთვის ვერ გადაგიციათ გალობა იმ ზომით, რა ზომითაც თქვენ იცით ეგი? საინტერესოა ვიცოდეთ, რა ჯამაგარს ღებულობდა ის სულით განათლებული კაცი, ვინც თქვენი თავით დაასაჩუქრა ივერია. სხვებზე არ ვამბობ და თქვენ კი, ბ. მელქისედექ, მილიონიც რომ დაგენიშნოთ, რაცა ხართ, ეგ იქნებით.

მოხარული ვარ, რომ ჩემს მოკლე ღია წერილს გაუჭრია, სინამდვილე შეგიგნიათ და თქვენს თავს კომპოზიტორათ აღარ სთვლით. ღმერთმა ინებოს, რომ ამ მეორე წერილის შემდეგ გამოგეცხადებინოთ, რა დიდ დანაშაულობას ჩასდიხართ ქართლ-კახურ გალობას რომ ყიზილბაშთა ყიყინად სთვლით. მანემდისინ კი, იცოდეთ ბატონო, რომ თქვენი მოწოდება, »ქართველები ნუ გავიყოფით ქართლ-კახელობით და გურულ-იმერლობითო", უაზრო წყლის ნაყვად და საზიზღარ ფარისეველობად დარჩება. მანემდინ, ბევრიც რომ გეწყინოთ, ფსევდონიმს არ ავიხდი, რადგანაც ფსევდონიმების ხმარება ჩემი მოგონილი არ არის და არც რამ საძრახისი იფარვის მაში. თქვენ არ დაიჯერებთ, მაგრამ გარწმუნებთ კი, რომ ფსევდონიმს ამოვეფარე სწორეთ თქვენი პატივისცემის გულისთვის, რომ თქვენ საშუალება გქონდეთ სრული თავისუფლებით და გაბედულობით გამოსთქვათ თქვენი აზრები. მოველი, რომ ტრაბახობა-სიცრუეს ჩამოეთხოებით და არსებით პასუხს გამცემთ იმ კითხვებზე, რომლებიც წამოგიყენეთ პირველ წერილში.

ქაჯეთელი.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჟედლიძე.**
გამომცემელი, **იოსებ ლეჟავა.**

„ივერიის" ფასი 1912 წლისთვის
ყოველ-კვირეულ „ივერიაზე"
„ივერიის" ფასი:
წლიურად — 4 მანეთი ვერცხლით.
ნახევარი წლით — 2 მანეთი.
სამი თვით — 1 მანეთი.
ერთი თვით — 2 აბაზი.
ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.
ფულის შემოტანა წლიურ ხელის მოწერათვის შეიძლება ასე განაწილდეს: თვიდგან 2 მანეთი და 1 ივნისს 2 მან.
განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტიტით სტრიქონი ორი შაური, შუაში, ბოლოში 7 კაპ.
რედაქტორი მღვდ. ს. მჟედლიძე.

განცხადებანი.

სტამბა „შრომა“

—— დაბა ყვირილაში ——

ყვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმ.

ვბეჭდავთ: ბლანკებს, აფიშებს, განცხადებებს, წიგნებს, ბროშიურებს და ყოველგვარ მოსაწვევ წერილებს: ქორწინებისას, ნათლისას, სამგლოვიაროსას და სხვ. აგრეთვე კონტორებისათვის საანგარიშო წიგნებს და წიგნაკებს, კვიტანციებს, იარლიკებს, სადარბაზო ბარათებს (ვიზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლებლისათვის კლასის ჟურნალები და ბილეთები.

საქმეებს ვასრულებთ სუფთად და თავის დროზე ძლიერ დაკლებულ ფასებში.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით პატივცემულნი ზაკაზჩიკები.

ადრესი: ყვირილა სტამბა „შრომა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Квирылы

სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ყოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევერს. ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერათ.

ფასები ნახატების ღირსებაზე და ზომაზეა დამოკიდებული და ყოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევერს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავ მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო **ლეონიდეს** ნდობით და გვაქვს მათი მეუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრესი: „შინაური საქმეების“ რედაქცია, გაზაკოვის ქუჩა № 17.

განცხადება.

თბილისის და ქუთაისის წიგნის მაღაზიებში და მოწამეთის მონასტერში იყიდება არხიმანდრიტის ნესტორის მიერ შედგენილ-გამოცემული წიგნები სასულიერო შინაარსისა:

1) კაიაფას ვაჟი შვილი — 50 კ.
2) მესამე ოქრო — — — 5 კ.
3) გზა ცხოვრებისა — — 30 კ.
4) ძველ აღთქმის საღვთო ისტორია 50 კ.
5) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია 40 კ.
6) სიკვდილი მართლისა — — 10 კ.
7) ერთი ღამე აკალდამაში — 5 კ.
8) არა კაც კლა — — — 5 კ.
9) კარგი ყველგან კარგია — 10 კ.
10) ქრისტიანობა და დემოკრატია, ქრისტიანობა და სოციალიზმი 15 კ.
11) ცოლ-ქმრობა (საღვთო წერილიდან — — — — — 5 კ.
12) მამა დავით გარეჯელის ცხოვრება და მოღვაწეობა — — 10 კ.

სამკითხველოებს და სასოფლო შკოლებს, როგორც სამრევლოს ისე საეროს, ნაღდ ფულზე ვინც გამოიწერს, ყველა წიგნებს დაუთმობ ნახევარ ფასად. ხოლო წიგნის მაღაზიებს, რომელიც ნაღდ ფულზე გამოიწერენ, დავუთმობ 30%, ადრესი: **Черезъ Кутаисъ въ Моцамети. Архимандриту Нестору.** ვინც ისურვებს ჩემგან პირდაპირ გამოწერას, ვსთხოვ ადრესი გარკვევით მოსწეროს.

„შინაური საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

გლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (**ВѢДОМОСТИ**) წლიური საბლაღოჩინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „შობის“ გამოცემაა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რვეული 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религіозно Просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.

სტამბა „შრომა“ დაბა ყვირილაში, Типографія „Трудъ“ въ м. Квирилы.